№1416 2015 წლის 3 ივლისი ქ. თბილისი

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ
განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 ოქტომბრის №1818 განკარგულების საფუძველზე შესასრულებელი შიდასახელმწიფო-ებრივი მნიშვნელობის ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟესი-გომისმთის საავტო-მობილო გზის კმ 5-ზე (სოფელი შემოქმედი) სტიქიური მოვლენის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების, მათ შორის, საავტომობილო გზის აღდგენისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების მიზნით, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ“ (შემდგომში – კომპანია) საკუთარი სახსრებით უზრუნველყო აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებული სრული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისათვის საჭირო მომსახურების შესყიდვა.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, კომპანიამ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებული საზედამხედველო და საექსპერტო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 ოქტომბრის №1818 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხის ფარგლებში.

4. კომპანიამ უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 ოქტომბრის №1818 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**